საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 298 (9458) | პარასკევი, 19 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ა. ი. მგელაძის შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან სოფელ გომარეთში 1952 წლის 17 დეკემბერს. მარცხნივ: ამხ. ა. ი. მგელაძე ამბობს სიტყვას.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ა. Ი. ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲝᲛᲐᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

საქართველოს ძველთაძველ სოფელ გომარეთში დილით ადრე დაიწყეს თავმოყრა მშრომელებმა: მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში შემავალი სოფლების: გომარეთის, სარკინეთის, ყარაბულახის, საჯის, კამარლოს, კიროვისის ამომრჩევლები. აქ შეიკრიბნენ ისინი, რათა შეხვედრა მოეწყოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს.

მოედანი საკოლმეურნეო კლუბის წინ, სადაც სამი ათასზე მეტმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი, მორთულია საზეიმოდ. მოსჩანს საარჩევნო ლოზუნგები; ალისფერ ტილოზე ელავს ყველა მშრომელთა გულისთქმის გამომხატველი სიტყვები: დიდება დიდ სტალინს!

დღის 2 საათია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარტიის დმანისის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კირვალიძე შეხვედრისადმი მიძღვნილ კრებას გახსნილად აცხადებს.

— ჩვენი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები,—ამბობს იგი,—დღეს ხედავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, ლენინ — სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს. ის დიდი ნდობა, რაც ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ გამოგვიცხადა თავისი თანხმობით — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში, გვავალებს ძალების დაუზოგავად ვიმუშაოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

პირველი სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს, გომარეთის მტს-ის დირექტორს ამხ ე. დვალს.

— ამა წლის 21 დეკემბერს, — ამბობს ის, — დანიშნულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები რამდენიმე საარჩევნო ოლქში, მათ შორის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში.

სოფელ განახლების სტალინის სახელობის, გომარეთის ბერიას სახელობის, ყარაბულახის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობების წევრთა და გომარეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების კანდიდატად გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად წამოაყენეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ა. ი. მგელაძე. გომარეთის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად დაუჭირა მხარი ამხანაგ ა. ი. მგელაძის დასახელებას დეპუტატობის კანდიდატად და მოწოდებით მიმართა ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმა მისცენ საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს.

ნდობით აღჭურვილი პირი, ლაპარაკობს რა პარტიის, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წინაშე ამხანაგ მგელაძის დამსახურებაზე, მის დიდ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე, აცხადებს, რომ გომარეთის საარჩევნო ოლქის მშრომელები ყოველდღიურად გრძნობენ იმ მზრუნველობასა და დახმარებას, რასაც მათ მიმართ იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პირველი მდივანი ამხანაგი ა. ი. მგელაძე.

— სიტყვა მივცეთ დეპუტატობის ჩვენს ღირსეულ კანდიდატს, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. დვალი, — რომ მთელ ჩვენს ძალებსა და ენერგიას გამოვიყენებთ ლენინ—სტალინის პარტიის ყველა მითითების შესასრულებლად, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ძალღონის დაუზოგავად ვიმუშავებთ ნათესების ფართობის გასაადიდებლად, მოსავლიანობის ასამაღლებლად, მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის გადამეტებით შესასრულებლად.

დასასრულ, ნდობით აღჭურვილმა პირმა მოუწოდა შეხვედრის მონაწილეებს, რომ 21 დეკემბერს — არჩევნების დღეს ყველანი როგორც ერთი კაცი გამოცხადდნენ საარჩევნო უთუბებთან და ხმა მისცენ ამხანაგ ა. ი. მგელაძის კანდიდატურას.

ტრიბუნაზეა სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. დევნოზაშვილი. იგი ლაპარაკობს იმ სიხარულზე, რასაც განიცდიან გომარეთის ოლქის ამომრჩევლები ამხანაგ ა. ი. მგელაძის თანხმობის გამო — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს გომარეთის საარჩევნო ოლქში.

— ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ, — ამბობს ორატორი, — დაიმსახურა ჩვენი ხალხის სიყვარული ლენინ—სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით, ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით. ჩვენთვის კარგად ცნობილია ის დიდი მუშაობა, რასაც ამხანაგ მგელაძის ხელმძღვანელობით ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში და სერიოზული შეცდომების გამოსასწორებლად, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ხორციელდება საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში დაშვებულ შეცდომათა სრული ლიკვიდაციისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად დაცვისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითით ვხედავთ, თუ რა დიდი შედეგები მოგვცა საკოლმეურნეო ცხოვრების წესდების ზუსტად დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლამ, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღებამ. ემზადებიან რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნებისათვის, ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

— ჩვენი ოლქის ამომრჩევლები, — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. დევნოზაშვილი, — ლენინ — სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით გამსჭვალულნი, 21 დეკემბერს ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო უთუბებთან და ხმას მისცემენ ჩვენი პარტიის ღირსეულ შვილს აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს.

სოფელ მამულოს 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ვ. ჯიოშვილი ლაპარაკობს პარტიისა და ხალხის ინტერესების ერთიანობაზე, რაც თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ქვეყნის მიღწევებში.

— ყველა ჩვენს წარმატებას, — აცხადებს ამხ. ჯიოშვილი, — ვუმადლიო ლენინ — სტალინის პარტიას, დიდ სტალინს. ჩვენ უსაზღვროდ მადლიერი ვართ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა იმისათვის, რომ მათი მზრუნველობით ჩვენი რაიონი წინათ ჩამორჩენილი, ერთ-ერთ კეთილმოწყობილ რაიონად გადაიქცა რესპუბლიკაში, რომ ჩვენი რაიონის მცხოვრებლები შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების გზაზე გამოვიდნენ. ამიტომ დღეს ასე ერთსულოვნად ვხვდებით დეპუტატობის ჩვენს ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს. ასევე ერთსულოვნად, ჩვენი პარტიისადმი, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გამსჭვალულნი, მივალთ 21 დეკემბერს საარჩევნო უთუბებთან და ხმას მივცემთ ჩვენს რჩეულს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს.

გომარეთის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეს ც. დევროსაშვილს ახლახან შეუსრულდა 18 წელი. წელს იგი პირველად განახორციელებს არჩევნებში მონაწილეობის თავის საპატიო მოქალაქეობრივ უფლებას.

— ბედნიერი ვარ, — ამბობს მოსწავლე გოგონა, — რომ ხმას მივცემ სახელოვან შვილს იმ პარტიისა, რომლის ყოველდღიური მზრუნველობით საბჭოთა ახალგაზრდობას ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება აქვს დამკვიდრებული, ყველა შესაძლებლობა აქვს შექმნილი ნიჭის გასაფურჩქნავად, მეცნიერების მწვერვალების დასაუფლებლად.

— გომარეთის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა დიდ სიხარულს, — ამბობს მოსწავლე გოგონა ფ. დიაკოვა, — რომლებიც ემზადებიან ხმა მისცენ პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს ამხანაგ ა. ი. მგელაძეს, იზიარებს დმანისის რაიონის ახალგაზრდობა. ამხ. ა. ი. მგელაძის სახელი მახლობელია საქართველოს ახალგაზრდობისათვის. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი სათავეში ედგა რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას, ზრდიდა საქართველოს ახალგაზრდობას ლენინ — სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

მან თავისი მგზნებარე სიტყვა დაამთავრა შეძახილით:

გაუმარჯოს ჩვენი ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების შემქმნელს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ზახაროვმა, გომარეთის მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტნაწილში ბ. ქრისტესიაშვილმა, სოფელ საჯის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. რუსტამოვმა, სოფელ ყარაბულახის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკუსმა ა. ალახვერდოვმა. ყველა მათგანის სიტყვა გამსჭვალული იყო მტკიცე გადაწყვეტილებით—მთელი ძალები მოახმარონ XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის მითითებათა განხორციელებას, გააუმჯობესონ მიწათმოქმედების კულტურა, გაზარდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, გაადიდონ სათესი ფართობები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფის საქმეში.

★ ★ ★

სიტყვა ეძლევა დეპუტატობის კანდიდატს ამხანაგ აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს, რომელსაც შეხვედრის მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან.

— ნება მიბოძეთ, — ამბობს ამხ. მგელაძე, — უწინარეს ყოვლისა მადლობა გიძღვნათ თქვენ და თქვენი სახით გომარეთის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს იმ ნდობისათვის, რომელიც გამიწიეთ მე, როგორც დიადი კომუნისტური პარტიის წევრს.

ყველაფერს, რაც აქ ითქვა ჩემს შესახებ, მე, ცხადია, ვაკუთვნებ არა ჩემს თავს, არამედ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ჩვენს დიდ ბელადს, საყვარელ ამხანაგ სტალინს. **(მქუხარე ტაში).**

1952 წელი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში შევა როგორც პარტიის XIX ყრილობის მოწვევის წელი. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, დიდი სტალინის ბრძნული სიტყვა ყრილობაზე, მისი გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების პროგრამაა.

ჩვენი ამოცანაა თავდადებით, სტალინურად ვიბრძოლოთ ლენინ — სტალინის პარტიის ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას და ამ მშენებლობაში წარმატებას წარმატებაზე აღწევს. მაგრამ მშვიდობიან შრომაში ჩაბმულ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ, შუდამ ახსოვთ კაპიტალისტური სამყაროს არსებობა, ის, რომ იმპერიალისტი აგრესორები ამზადებენ ახალ ომს, მიმართულს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ჩვენი ბრძოლა მშვიდობისათვის — ეს არის ჩვენი თავდადებული შრომა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად. თვითეული მშრომელი, სადაც უნდა მუშაობდეს იგი, — კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ფაბრიკასა თუ ქარხანაში, გადამეტებით ასრულებს რა გეგმებს, ამით იბრძვის მშვიდობისათვის. მეცნიერს, რომელიც ავითარებს ჩვენს საბჭოთა მეცნიერებას, მწერალს, მხატვარს, რომელიც ქმნის ახალ ნაწარმოებს, პედაგოგს, რომელიც ზრდის მოზარდ თაობას, აგრონომს, რომელიც მუშაობს მოსავლიანობის გადიდებისათვის — თვითეულ მათგანს თავის პოსტზე შრომით წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მშვიდობისათვის ბრძოლა ვლინდება თვითეული ჩვენგანის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ეს ბრძოლა თავს იჩენს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომაში ჩვენი საყვარელი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯის საკეთილდღეოდ.

ამერიკელი იმპერიალისტები, ომით ემუქრებიან რა საბჭოთა ხალხს, ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. თუ კი ვინმეს უნდა ეშინოდეს ომისა, უწინარეს ყოვლისა უნდა ეშინოდეთ თვით ამერიკელ იმპერიალისტებსა და მათს მოკავშირეებს. თუ ისინი შეეცდებიან ომის გაჩაღებას, იგი აუცილებლად გამოიწვევს მათს სრულ განადგურებას, კაპიტალიზმის კრახს. **(ტაში).**

ნურავინ ცდილობს ჩვენს დაშინებას. ჩვენ მშვიდად ვშრომობთ, მშვიდად ვაშენებთ კომუნიზმს და არავის მივცემთ ნებას ხელი შეუშალოს ჩვენს დიად მშენებლობას.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. მგელაძემ მიუძღვნა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის ამოცანებს.

— გომარეთის საარჩევნო ოლქის, მთელი დმანისის რაიონის მშრომელებმა, — ამბობს ამხ. მგელაძე, — იეტი უნდა იმუშაონ სათესი ფართობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების, უმთავრესად კი ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში რაიონს დიდი მიღწევები ჰქონდეს. საჭიროა უახლოესი ორი წლის განმავლობაში მიიღწიოთ იმას, რომ თვითეულ ჰექტარ ნათესზე მოიყვანოთ 20-25 ცენტნერი მარცვალი, რომ კოლმეურნეებს შრომადღეებზე კიდევ უფრო მეტი მარცვალი და სხვა პროდუქტები ერიცხებოდეს.

საჭიროა მეტი ზრუნვა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის, წველადობის გადიდებისათვის, საკოლმეურნეო საზოგადოებრივი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებისათვის.

მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული დმანისის რაიონში მეხილეობის განვითარების დარგში. ხეხილის ბაღები სახეს შეუცვლიან რაიონის სოფლებს. საჭიროა თვითეულ ეზოში დაირგოს 10-15 ძირი ხეხილი.

უნდა ამოძრავდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა ბერკეტი. მაშინ ყველა კოლმეურნეობა გახდება კიდევ უფრო მდიდარი, ხოლო კოლმეურნეები გახდებიან კიდევ უფრო შეძლებულნი.

საქართველოს მშრომელებს მთელი რიგი წლების განმავლობაში ზრდიდა ერთგული სტალინელი ამხანაგი ლ. პ. ბერია, რომელმაც თავისი დაუღალავი მოღვაწეობით უზრუნველყო საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის აღმავლობა და აყვავება. ამხანაგმა ბერიამ ჩაგვინერგა მუშაობის სტალინური სტილი. ეს სტილი ჩვენს ხელში საიმედო იარაღია კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა მიღწევისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ეჭვი არ ეპარება, რომ პარტიის დმანისის რაიკომი, რაიონული ორგანიზაციები და რაიონის ყველა მშრომელი უზრუნველყოფენ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

ვუსურვებ გომარეთის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, მთელი დმანისის რაიონის მშრომელებს შემდგომ წარმატებებს მათს შრომაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას თქვენ და თქვენი სახით გომარეთის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს. სიტყვას გაძლევთ, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა ღირსეულად გავამართლო თქვენი ნდობა. არ დავიშურებ ჩემს ძალღონეს პარტიის მითითებათა, დიდი სტალინის ყველა დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ა. ი. მგელაძე გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს, ძლევამოსილ საბჭოთა კავშირს, ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას.

როცა ამხ. მგელაძე გამარჯვებას უსურვებს დიდ სტალინს, კრების მონაწილენი მქუხარე ოვაციას მართავენ. ყველა მხრიდან გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას!

— გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ და საყვარელ სტალინს!

კრება მთავრდება საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის სიმღერით.

ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲜᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებში დაიწყო ნამსახურობისათვის ერთდროული ჯილდოს გაცემა.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა იმ მეტალურგთა რიცხვი, რომლებიც ჯილდოს იღებენ. მათ შორის არიან მუშები, რომლებიც მეტალურგიული ქარხნების ელექტროსადგურების ექსპლოატაციასა და რემონტზე მუშაობენ, კაპიტალური მშენებლობის განყოფილებების, კოქსქიმიური, სამთამადნო და ცეცხლგამძლე საწარმოთა მუშები, აგრეთვე „გლავვტორჩერმეტის“ საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მუშები.

სულ 1952 წელს ნამსახურობისათვის მეტალურგები მიიღებენ 500 მილიონ მანეთზე მეტ ჯილდოს. (საკდესი).

Ა. Ი. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

17 დეკემბერს ნიუ-იორკიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეშვიდე სესიაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. (საკდესი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ա. Ի. ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲛᲝᲛᲐᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐᲜ

Ամխանագ Ա. Ի. Մգելաձիս Շեխվեդրա Ամոմարչևլեբթան

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური მოხსენებები მოსახლეობაში

ხელმძღვანელი მუშაკების კარგად მომზადებული, შინაარსიანი პოლიტიკური მოხსენებები მასებისათვის პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განმარტების, პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და დასახული ამოცანების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის საუკეთესო საშუალებაა.

პოლიტიკური მოხსენებების მოსაწყობად პარტიის ტყიბულის რაიკომი ერთგვარ მუშაობას ეწევა. რაიკომთან შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფი, რომელშიც 34 პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკია გაერთიანებული. მომხსენებელთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს. მათ შესწევთ უნარი მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე წაიკითხონ მოხსენებანი. მართლაც საინტერესოდ მომზადდა მოხსენებები ისეთ თემებზე, როგორიც არის „სოციალისტური კანონიერება სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში“, „მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“, „შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი“, „სასამართლო და პროკურატურა სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე“ და სხვ.

მშრომელთა წინაშე განსაკუთრებით მომზადებული და საკითხების ცოდნით გამოდიან რაიონის განათლების განყოფილების გამგე დ. მარუაშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. დაღუნდარიძე, სკოლის დირექტორი ა. გოლოძე, ა. ჩადრანოვი და სხვები. მათი მოხსენებები მსმენელთა დიდ აქტივობას იწვევს. იმართება გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მომხსენებლებს აძლევენ შეკითხვებს და სხვ.

მოხსენება მშრომელთა აქტივობას განსაკუთრებით მაშინ ეხმარება, როცა იგი მჭიდროდ დაკავშირებულია საღღეისო აქტუალურ საკითხებთან, როცა მომხსენებელს გამოყენებული აქვს ადგილობრივი მაგალითები და ფაქტები. მაგალითად, სტალინის სახელობის შახტში ამას წინათ წაკითხულ იქნა მოხსენება „მიმდინარე მომენტი და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ამოცანები“. მოხსენების დამთავრების შემდეგ აზრი გამოთქვა და საყურადღებო წინადადება წამოაყენა 8 კაცმა. მათ აღნიშნეს, რომ შახტში მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ყველა საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი მტკიცედ არ იბრძვის საწარმოო დაგეგმვების გადაჭარბებით შესრულებისათვის. არის სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების შეუფასებლობის, სამთო მექანიზმების მოუვლელობისა და სრული დატვირთვით გამოუყენებლობის ფაქტები. მეშახტეებმა განსაკუთრებით ამხილეს შრომის ცუდი ორგანიზაციისა და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტები და მოითხოვეს დამნაშავეთა დასჯა. გაითვალისწინა რა მეშახტეთა კრიტიკული შენიშვნები, შახტის პარტბიურომ გადაწყვიტა დეტალურად შეისწავლოს სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებები და თავის მორიგ სხდომაზე განიხილოს შედეგები.

მშრომელთა ასეთ აქტივობას იწვევს რაიონის სხვა საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გამართული პოლიტიკური მოხსენებებიც.

მაგრამ რაიკომს პოლიტიკური მოხსენებების ორგანიზაციაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, იმიზეზებს რა დროის უქონლობას, თავს არიდებს მოსახლეობაში პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლას. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის პარტიის რაიკომის მუშაკებზე. რაიკომის განყოფილებათა გამგეებიდან ორმა წაიკითხა თითო პოლიტიკური მოხსენება კოლმეურნეობაში. ასევე იშვიათად გამოდიან მასების წინაშე მოხსენებებით კომკავშირის ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ბაკურაძე, რაიკოჰკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. კაზიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგე ამხ. შ. კოპალეიშვილი და რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი ამხ. ა. ბოჭორიშვილი. აღსანიშნავია, რომ წელს ამხ. ა. ბოჭორიშვილს რაიკომმა ხუთჯერ დაავალა პოლიტიკური მოხსენების წაკითხვა მუხურის კოლმეურნეობებში. მაგრამ ამხ. ბოჭორიშვილმა მხოლოდ ორი მოხსენება წაიკითხა. შ. კოპალეიშვილს დავალებული სამი მოხსენებიდან არც ერთი არ წაუკითხავს.

პარტიის რაიკომის ბიურო ვერ უწევს საკმაო დახმარებას მომხსენებელთა ჯგუფს. წელს რაიკომის ბიუროს ერთხელაც არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე. მომხსენებელთა ჯგუფს ნაკლებ მეთოდურ დახმარებას უწევს რაიკომის ბიბლიოთეკაც. იგი არ ახდენს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას.

საჭიროა მომავალში ამ საქმეს მეტი ყურადღება დაეთმოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოხსენებათა თემატიკის მრავალფეროვნებას და მომხსენებელთა მეთოდურ დახელოვნებას.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სემინარი ძირეული საბჭოთა აქტივისათვის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო სასოფლო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეებისა და მდივნების ათდღიანი სემინარი. სემინარზე კვალიფიციურმა ლექტორებმა წაიკითხეს ლექციები თემებზე: „სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი“, „სასოფლო საბჭოს მასობრივი მუშაობის ფორმები“, „სოფლად საყოველთაოსავალდებულო სწავლების გატარება“ და სხვ.

საბჭოთა საქართველოში

ბოსტნეული მაღალმთიან ზონაში

მრავალი წლის დაკვირვებით საყურადღებო შედეგებს მიაღწია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბოსტნეული კულტურების ჯიშთსაცდელმა პუნქტმა, რომელიც ჯავის რაიონის მაღალმთიან სოფელ კროზაში მდებარეობს.

პუნქტმა აგრონომ ბ. ბეროზაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე წელს, მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, უზრუნველყო ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მიღება. სტაფილო ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 90 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 200 ცენტნერი, ხახვი — 100 ცენტნერი (გეგმა 70 ცენტნერს ითვალისწინებს), კარტოფილის მოსავალმა ჰექტარზე 170 ცენტნერი შეადგინა (გეგმით უნდა მიეღოთ 150 ცენტნერი). ჰექტარზე მიიღეს 275 ცენტნერი კომბოსტო.

კოლმეურნეები პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ ჯიშთსაცდელი პუნქტის გამოცდილებას და გაბედულად ჰკიდებენ ხელს მებოსტნეობას. მაგალითად, სოფელ ბუზალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნემ ვ. სანაკოევმა მთის ჩკაცრ პირობებში უზრუნველყო ჰექტარზე 240 ცენტნერი საკვები ჭარხლის მიღება, გეგმა კი 180 ცენტნერს ითვალისწინებდა.

უკანასკნელ წლებში ბოსტნეული კულტურების მაღალი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვეს სოფელ ჯავის სტალინის სახელობისა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობათა მებოსტნეებმა.

მაღალმთიანი ჯავის კოლმეურნეობებში სულ უფრო ფართოდ ინერგება ბოსტნეული კულტურები. **(საკ. კორ.).**

შენობები სკოლებისათვის

მიმდინარე წელს მრავალი ახალი სასკოლო შენობა შეემატა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების ქსელს რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში. თეთრ წყაროში ახლახან დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი ლამაზად მოპირკეთებული სასკოლო შენობა, სკოლის ორსართულიანი შენობები მიიღეს გეგეჭკორის რაიონული ცენტრისა და მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარის მოსწავლეებმა.

უახლოეს ხანებში დამთავრდება და მწყობრში ჩადგება ორსართულიანი სკოლები გორის რაიონის სოფელ ვარიანში, კაჭრეთის რაიონის სოფელ მახარაძეში, დმანისის რაიონის სოფელ დიდ დმანისში, მარნეულის რაიონულ ცენტრში. რვაწლიანი სკოლებისათვის ერთსართულიან ახალ შენობებს მიიღებენ აგრეთვე ხობის რაიონის სოფელი ხორგა და სხვ.

მძიმე წონის მაჯარებლის ჯარების ოსტატები

სამტრედია. (საკ. კორ.). საორთქლმავლო დეპოში დღითიდღე იზრდება მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატთა რაოდენობა. ამ უკანასკნელ ხანებში მძიმე წონის მატარებლები გადაჰყავთ არა მარტო ცალკეულ მემანქანეებს, არამედ მეორთქლმავლეთა ბევრ ბრიგადას.

მძიმე წონის მატარებლის ტარების ოსტატებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ნოემბერში. მათ მძიმე წონის 60 მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ტვირთი გადაზიდეს, ამასთან 3,9 კილომეტრით გადიდეს ტექნიკური სიჩქარე, 4,6 კილომეტრით — საღღეღამისო გარბენი, შეამცირეს ორთქლმავლების საექსპლოატაციო ბრუნვა და დაზოგეს 32,3 ტონა სათბობი.

აღსანიშნავია მემანქანეების — კ. მიგინეიშვილის, ლ. სტურუას, ს. ხაჟალიას, ს. გოთოშიას, ვ. ლორიას, ნ. ფოცხვერიას, ს. ჯაშის ნაყოფიერი მუშაობა. თვითეულმა მათგანმა ნოემბერში 2-4 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით 1.000—2.500 ტონა ტვირთი გადაიტანა.

განსაკუთრებით დაწინაურდა მემანქანე ვ. ახობაძე. სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად მან მძიმე წონის 5 მატარებელი გადაიყვანა და გეგმის გადამეტებით 1.295 ტონა ტვირთი გადაზიდა, ამასთან 5,8 კილომეტრით გაზარდა ტექნიკური სიჩქარე, 60 კილომეტრით გადაჭარბა საღღეღამისო გარბენის ნორმას. ლენინელმა მემანქანემ ვ. ახობაძემ ნოემბერში 3.555 კილოგრამი სათბობი დაზოგა და ორთქლმავლის შეკეთებაზე 2.134 მანეთის ეკონომია გასწია.

ახალი ქსოვილები

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივმა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებისათვის ბრძოლასთან ერთად წარმატებით აითვისა სამი ახალი სახის პროდუქცია — შალის მაღალხარისხოვანი ქსოვილები. ფაბრიკამ მოაწყო წმინდა მერინოსის მატყლისაგან დრაფის წარმოება. იქსოვება აგრეთვე შტაპელის ბოჭკოიანი მაღალხარისხოვანი საკოსტიუმე ტრიკო (საგაზაფხულო), აგრეთვე ნახევრადუხეში მატყლის საპალტო დრაფი შტაპელის ბოჭკოთი.

წელს თბილისის მემატყეები 214.000 მეტრ ამ ახლადათვისებულ ქსოვილებს გამოუშვებენ.

საახალწლოდ

საქართველოს კონსერვტრესტმა მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, კუიბიშევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელებისათვის საახალწლოდ გაგზავნა 103 მილიონამდე ცალი მანდარინი.

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციები საახალწლოდ გასაყიდად იღებენ 2 მილიონზე მეტ ცალ მანდარინს.

პრესის მიმოხილვა

ღრმად, შინაარსიანად გავაშუქოთ საბჭოთა მშენებლობის საკითხები

ზნაურის რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო ცხოვრების“ (რედაქტორი ი. ხადირაძე). ფურცლებზე არაერთხელ გამოქვეყნდა კრიტიკული შენიშვნები და სიგნალები იმის შესახებ, რომ მეტად ნელი ტემპით და უგემოვნოდ მიმდინარეობს რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა. საკმარისია ითქვას, რომ გაზეთი წელს რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ საკითხს.

27 მარტს გაზეთის მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: „...სერიოზული ყურადღება არ ექცევა რაიონული ცენტრის კეთილმოწყობას. ქუჩები მოუკირწყლავია. მის ნაპირებზე არ აშენებენ მცენარეებს. მოწყობილი არ არის წყალსაწრეტები. უსუფთაობაა გამეფებული ეზოებში. დასვენების პარკი უყურადღებოდ არის მიტოვებული. იგი შემოუკავებელია, რის გამო პირუტყვი აზიანებს ნარგავებს. პარკის მოვლა-პატრონობაზე არავინ ფიქრობს“.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის საკითხს რედაქცია კვლავ დაუბრუნდა. ეს იყო 24 აგვისტოს. წერილი „კეთილმოწყობილი გავხადოთ რაიონული ცენტრი“, რომელსაც გაზეთის მთელი სამი სვეტი აქვს დათმობილი, დაწვრილებით ჩამოთვლის ნაკლოვანებებს.

არავინ დაუგდო ყური გაზეთის სიგნალს, მისი კრიტიკის მიხედვით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ძველი ნაკლოვანებანი დღემდე არ არის აღმოფხვრილი.

ასეთი ფაქტები გამონაკლისი როდია. წელს გაზეთი ხშირად წერდა საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე. აკრიტიკებდა საბჭოების მუშაობის დაბალ დონეს, ნაკლოვანებებს. 22 მაისს გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი: „გავაუმჯობესოთ მუდმივი კომისიების მუშაობა“. აქ მკაცრად არის გაკრიტიკებული ყორნისის სასოფლო საბჭოს მუდმივი კომისიების უმოქმედობა. გაზეთის სიგნალმა შედეგი არ გამოიღო.

8 აგვისტოს გაზეთმა დაბეჭდა მოწინავე „გულისხმიერად მოვეპყროთ პრესის სიგნალებს“. აქ გაკრიტიკებულია ბევრი ადგილობრივი ორგანიზაცია, მათ შორის რაიონული საბჭოს აღმასკომის ცალკეული განყოფილებები, რომლებიც არაფრად აგდებენ პრესის სიგნალებს, გვერდს უვლიან მათ, მაგრამ ეს წერილი მალე დაივიწყა ყველამ, მათ შორის რედაქციამაც.

რაიონული გაზეთი მოწოდებულია სერიოზული, ყოველდღიური დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ საბჭოებს მათი ხელმძღვანელი და ორგანიზატორული როლის ამაღლებაში. გაზეთ „საკოლმეურნეო ცხოვრებას“, ერთი შეხედვით, თავისი ეს მაღალი მოვალეობა არ ავიწყდება, იგი არც თუ ისე იშვიათად უთმობს თავის ფურცლებს საბჭოთა მშენებლობის საკითხებს, მაგრამ მისი ზემოქმედება, გავლენა საქმეზე სუსტია.

რა რჩება გაზეთს მხედველობიდან? რატომ ვერ უზრუნველყოფს იგი წარმატებას მისი მუშაობის ამ უბანზე?

საქმე იმაშია, რომ გაზეთი სათანადოდ ვერ სწვდება მოვლენათა სიღრმეს. იგი უხვად ასახელებს უარყოფითი ფაქტებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობიდან, წერს ნაკლოვანებებზე, მაგრამ იმას კი აღარ გვიჩვენებს—როგორ, რა გზით გარდაექმნათ მუშაობა კონკრეტულად რა არის საჭირო იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ჩამოთვლილ ჩენას.

რაიონული გაზეთი ივიწყებს თავის ორგანიზატორულ როლს, ძლიერ სუსტად არის დაკავშირებული საბჭოთა აქტივთან. შემთხვევითი რამ დია, რომ გაზეთის მიერ საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები ერთფეროვანი, ნაკლებ საინტერესოა. მიმდინარე წლის თერთმეტი თვის მანძილზე გაზეთში საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე ერთხელაც არ მოუთავსებია წერილი რომელიმე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს; არცერთ დეპუტატს არ უამბნია მკითხველისათვის, თუ როგორ იბრძვის იგი ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. გაზეთის ფურცლებზე ვერ შეხვდებით აქტივის წინადადებებს საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის უკეთესად მოწყობის შესახებ.

20 ნოემბერს „საკოლმეურნეო ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა მოწინავე წერილი—„მუდმივი კომისიების მუშაობა გაუმჯობესებისათვის“. მოწინავეში დასახელებული არ არის საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის არცერთი დადებითი ფაქტი. გაზეთმა თვეების მანძილზე ვერ შეძლო მკითხველისათვის ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტებით ეჩვენებინა ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისი მუშაობა. ესეც გაზეთის ორგანიზატორული როლის შეუფასებლობით, აქტივთან მისი სუსტი კავშირით უნდა აიხსნას.

ზნაურში ბევრ ნაკლოვანებას ვხვდებით. რაიონში ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობრივი ზრდის გეგმა არცერთი სახის მიხედვით არ არის შესრულებული. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ბევრი ადგილობრივი საბჭო დღემდე უინიციატივოდ, თვითდინებით მუშაობს.

ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა რაიონულ გაზეთსაც ეკისრება. იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს ფაქტების უბრალო აღნიშვნით, მან ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მასების აქტივობის ზრდას, ადგილობრივი საბჭოების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

გაზეთმა „საკოლმეურნეო ცხოვრებამ“ საბჭოთა მშენებლობის საკითხების ღრმად, შინაარსიანად გაშუქება საბჭოთა აქტივის დახმარებით უნდა განახორციელოს. ამ საქმეში მას ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ პარტიის ზნაურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის

გმირული შრომის დღეები

ვისაც სამგორის ველზე საჯეირნოსა თუ ულევარას მიდამოებში თუნდაც ამ სამი წლის წინ გაუვლია, მათ ვეღარ იცნობს. მწირი, ხრიოკი ველი საბჭოთა ადამიანის მადლიან ხელს გაუცოცხლებია, იქ სიხარული და ბედნიერება დაუმკვიდრებია.

გმირული შრომის დაუვიწყარი დღეებია სამგორის ველზე. აქ დასახლებული ყველა კოლმეურნე ერთი ფიქრითა და გრძნობით მოქმედებს: თავიანთი წვლილი შეიტანონ საყოველთაო ღვიძლი საქმის, რესპუბლიკის მარცვლეულით უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრაში. პარტიის XIX ყრილობის წინადღეებში სამგორელებმა ძელახოს ყამირი გატეხეს, ოთხმოცდაერთა ჰექტარზე დათესეს ხორბალი, დღეს კი პალდოს სიმაღლიდან გადმოჭრილი ზამთრის ცივი ქარი მოუსვენრად ამრიალებს ახლად ამოქოჩრილ პირველ ჯეჯილს...

ძელახოს მაღლობიდან შრომითი შემოქმედების დიდებული პანორამა ჩანს: თვალმიუწვდენელ ველზე ყველგან წყალგანმანაწილებელი ახალი არხების ქსელია გაბმული, ექსკავატორები ებრძვიან გორაკებს, ტრაქტორები ყამირს შეჰბმიან, დაუსრულებლად მიმოქრიან ავტომანქანები, სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლები თავდადებით იბრძვიან ბუნების გარდაქმნისათვის, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევენ.

სახელოვან მშენებლებს მხარდამხარ მისდევენ ახლის, პროგრესულის შემოქმედი საკოლმეურნეო სოფლის ადამიანები, მარტყოფელი კოლმეურნეები. მართალია, სამგორის ველზე უკვე სუსხიანი ქარი ქრის, მაგრამ იგი წინანდებურად ვეღარავის აშინებს. საბჭოთა მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული კოლმეურნეები დაუღალავად შრომობენ ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის. შრომის ამ სახელოვან უბანს მარტყოფელები პურის ფრონტს ეძახიან.

მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის მითითება: „ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმა შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებში შესრულდეს. მაშასადამე, ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო წილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველვყოთ“.

სამგორელი კოლმეურნეების შემოქმედებითი ცხოვრების ურყევი კანონია: იმუშაონ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ კიდევ უკეთესად!

* * *

ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მოწინავეთა რიგებშია მარტყოფის მტს-ის ტრაქტორისტი-კომბაინერი კომკავშირელი სამსონ შოშიაშვილი. მან პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია — დღიური დავალება ზედიზედ 600 პროცენტით შეასრულა.

შოშიაშვილი ახალი მიწების ათვისების ოსტატია. შარშან მისმა ტრაქტორმა სამგორის ველზე მრავალი ასეული ჰექტარი ყამირი გატეხა და მოხნა. მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე გასულ წელს მან პირველად გაარღვია საუკუნეობით სახნისმიუკარებელი ყამირი, ხრიოკი მიწა.

ამ ადგილს გორებს, მწირს ეძახდნენ. სწორედ აქ გიორგი ჯამალაშვილის მემანდვრეობის ბრიგადამ საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებით შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. შეუძლებელია ადამიანმა დაივიწყოს ახლად ათვისებულ მიწაზე პირველი მოსავლის აღების სასიხარულო დღეები. როცა მოშრიალე პურეულის ზღვაში მინდვრის ხომალდი — კომბაინი გამოჩნდა, მოხუცმა კოლმეურნემ სიმონ მარუაშვილმა აღფრთოვანებით თქვა:

— შრომა ახლა უფრო სახალისოა!

ადგილობრივმა მკვიდრმა კომბაინერმა შოთა ჩიტირეკაშვილმა ყოფილი მწირი მიწის თვითეულ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 2 ცენტნერი, ზოგან კი უფრო მეტი ხორბალი აიღო.

კოლმეურნეობამ წელს მარცვლეულის ოთხჯერ მეტი მოსაჭალი მიიღო, ვიდრე 1940 წელს, რაიონში პირველმა შეასრულა პირველი მცენება — საყვარელ სამშობლოს ჩააბარა ერთნახევარჯერ მეტი ხორბალი, ვიდრე გასულ წელს.

კოლმეურნეებს აღაფრთოვანებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად დიდი სტალინის ის უდიდესი მზრუნველობა, რომელსაც ისინი იჩენენ კოლმეურნეობებისადმი და კოლმეურნეებისადმი. ეს არის კოლმეურნეთა გმირული შრომის საწინდარი. კოლმეურნეებმა საშუალოდ შრომადღეზე უკვე მიიღეს ავანსად 4 კილოგრამამდე ხორბალი. ბევრმა ოჯახმა რამდენიმე ტონა ხორბალი მიიღო.

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის შთამაგონებელმა სიტყვამ საკოლმეურნეო სოფლებში შემოქმედებითი ძალის ახალი მოზღვავება გამოიწვია. მარტყოფელმა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც თავიანთი ღვიძლი საქმე, გააჩაღეს ბრძოლა მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

კოლმეურნეები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ბარაქიანი მოსავლისათვის ბრძოლაში წარმატების მოპოვება მხოლოდ მექანიზატორებთან. მჭიდრო მეგობრობით შეიძლება. ამიტომაც ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსთან დაკავშირებით საკითხებს ისინი ერთად წყვეტენ. მექანიზატორებს მემანდვრეობის ბრიგადის წევრები ბეჯითად ეხმარებიან. მანქანა რომ სრული დატვირთვით მუშაობდეს, ამით მტს-ის მუშაკებზე არანაკლებად არიან დაინტერესებულნი კოლმეურნეები შ. ჩიტიაშვილი, ი. ილურიძე და სხვ.

კოლმეურნეობამ უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი — საშემოდგომო თესვა ახალი წარმატებით აღნიშნა. მექანიზაციის დახმარებით 410 ჰექტარი ყამირი წაართვა ჯაგნარს. საგულდაგულოდ დამუშავებულ მიწაში გადარჩეული ხორბალი დათესეს. მოსავლიანობის ამაღლებისათვის კარგად გამოიყენეს ხორბლის თესვის ახალი წესი — ჯვარედინად თესვა. კოლმეურნეობამ მექანიზატორების დახმარებით 1.200 ჰექტარზე ხორბლის თესვა რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა.

მომავალ წელს აქ სამგორის არხით მოირწყვება 1.000 ჰექტარი პურეულის ნათესი. აქედან 400 ჰექტარამდე ახლად ათვისებული ფართობია. მაგრამ ახალი მიწების ასეთი მატება მათ საკმარისად არ მიაჩნიათ.

მოსავლიანობის გადიდების ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად მიწის დამუშავებისა და ნათესების მოვლის დროს ახალ მოწინავე პროგრესულ მეთოდებს აქ იყენებენ არა ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ მთელ ფართობზე.

კოლმეურნეები და მექანიზატორები გამსჭვალული არიან ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით — ფართოდ გამოიყენონ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, მოწინავე პრაქტიკის გამოცდილება, უფრო განმტკიცონ ურთიერთშორის მეგობრობა და თავდადებით იბრძოლონ სტალინური დავალების შესასრულებლად, მოიყვანონ ხორბლის უხვი მოსავალი.

ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევს მემინდვრეობის ის ბრიგადა, რომელსაც გ. ჯამალაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ აგროტექნიკის ყველა წესების დაცვით გეგმის გადამეტებით დათესა 100 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი.

მოწინავე ბრიგადირი ამხ. ჯამალაშვილი იბრძვის იმისათვის, რომ ხორბლის მოსავლის გადიდების საქმეში ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულოს. მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა აგრეთვე მემინდვრეობის ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. მ. ფრეწუაშვილი ხელმძღვანელობს.

კოლმეურნე იოსებ შოშიაშვილმა კარგად იცის, რომ ყოველი ზედმეტი ჰექტარი ყამირი, რომელსაც იგი წმენდს ბუჩქებისაგან და გულმოდგინედ ამუშავებს, მარცვლის მიღების დამატებითი წყაროა.

სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ვ. კობიაშვილი ხელმძღვანელობს, წარმატებით შეასრულა (პირობითი ხვნაზე გადაყვანით) სატრაქტორო სამუშაოების წლიური გეგმა, ამასთან ერთად დიდი ოთხდენობით დაზოგა საწვავი.

უხვი მოსავლისათვის თავდადებულ ბრძოლაში მაგალითის მაჩვენებლები კომუნისტები და კომკავშირელები არიან. კომუნისტი შ. ჩიტიაშვილი სანიმუშოდ უვლის ჯეჯილს, კომკავშირელმა ტრაქტორისტმა გ. ჩუბინიძემ მაღალხარისხოვნად პირველმა შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა, ასეთი მაგალითები ერთეული როდია. კოლმეურნეობის კომუნისტები პატრიოტული შრომით სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ.

მემინდვრეთა და მექანიზატორთა შორის ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გააჩაღა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. საფუძვლიანად სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს, ამხანაგ სტალინის ისტორიულ სიტყვას. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჭილაშვილმა საუბრის დროს განაცხადა:

— დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ წინსვლის გზას გვინათებს. ჩვენი ვალია თავდადებული შრომით გავაკეთოთ ყველაფერი, რასაც მშობლიური ბელადი დიდი სტალინი გვავალებს.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პერსპექტივა, მისი წინსვლის გზა ნათელია. აქ გაითვალისწინეს სამშობლოს ყველა მოთხოვნა და მისი მიხედვით შეადგინეს ახალი ხუთწლიანი გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებს ხორბლის ნათესი ფართობის გადიდებას 1.870 ჰექტარით. მოსავლიანობის გადიდების მიზნით ათვისებულ იქნება 947 ჰექტარი ყამირი. ხუთწლედის ბოლოსათვის მოირწყვება 2.000 ჰექტარამდე ხორბლის ნათესი. ერთიოროად გადიდდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, ასევე ბოსტნეულის ნათესი ფართობი და მოსავლიანობაც.

მარტყოფელი კოლმეურნეები და მექანიზატორები, როცა გაეცხენ წითელწყაროელების გადაწყვეტილებას — მარცვლეულის განვითარების სახელმწიფო დავალება რაიონში შეასრულონ ვადამდე, მეხუთე სტალინური ხუთწლედის ბოლოსათვის, ნაცვლად გათვალისწინებული ვადისა — 1957 წლისა, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათ მოსავლიანობის გადიდების საქმეში უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ დღეს აქ ჭეშმარიტად სახალხო ხასიათი მიიღო.

* * *

სამგორის ველზე გმირული შრომის დაუვიწყარი, სასიხარულო დღეებია. მარტყოფელი კოლმეურნეები და მექანიზატორები, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით შეიარაღებულნი, გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის, მშვიდობის დაცვის, კომუნიზმის მშენებლობის დიდ საქმეში.

შ. ჭოჭუა,
ა. გოცირიძე.

მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებიდან

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა წითელწყაროს რაიონში. აქ წამყვანი დარგებია მარცვლეულის მეურნეობა და მეცხოველეობა. კოლმეურნეობამ აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებით უზრუნველყო 4.000 ჰექტარ ფართობზე ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების ბარაქიანი მოსავლის მოყვანა. მარცვლეული მეურნეობის განუხრელი ზრდისა და საკვები ბაზის გაფართოების საფუძველზე შეიქმნა ყველა პირობა მეცხოველეობის მძლავრი განვითარებისათვის.

კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ნ. ყოჩიაშვილი) კარგი მოსავლის მიღების შედეგად წელს სახელმწიფოს დიდი რაოდენობით ჩააბარა მაღალხარისხოვანი ხორბალი, გამოჰყო საზოგადოებრივი ფონდები. შრომადღეზე აქ 10 კილოგრამი მარცვლეულის განაწილებას ვარაუდობენ.

კოლმეურნეები შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ. კოლმეურნეობაში ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც შრომადღეებზე წელს 10 ტონას და მეტს მარტო მარცვლეულს მიიღებს. კოლმეურნეთა ოჯახები გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით. სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია.

კოლმეურნეობაში მოწყობილია 7 სახის ფერმა. მეძროხეობის ფერმაში 700-ზე მეტი პირუტყვი ჰყავთ, მეღორეობის ფერმაშიც ამდენივე, ხოლო მეფრინველეობის ფერმაში მარტო ქათამი 5.666 ფრთაა. ფუტკრის ოჯახთა რიცხვი 400-ზე მეტია, ხოლო ცხვრის სულადობა 10.000-მდე აღწევს. კოლმეურნეობა ყოველწლიურად წარმატებით ასრულებს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმას.

სერიოზული ყურადღება ექცევა ფერმებისათვის ახალი სადგომების მშენებლობას. მარტო წელს მეძროხეობის, მეფრინველეობისა და მეღორეობის ფერმებისათვის, არსებულის დამატებით აგებული იქნა კულტურულად მოწყობილი ბინები.

კოლმეურნეობაში კარგად ითვალისწინებენ, რომ პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვა წველადობის გადიდების საწინდარია. ამიტომ ბაგური კვება ფართოდ არის დანერგილი მეძროხეობისა და მეკამეჩეობის ფერმებში. მეწველი ფურები ფერმაში დაყოფილია სამ ჯგუფად. ცალ-ცალკეა მაღალპროდუქტიული, დაბალპროდუქტიული და „მშრალი“ ფურები. წინათ მაღალპროდუქტიულსა და დაბალპროდუქტიულს ერთნაირად კვებავდნენ, რაც მერძეულობას ამცირებდა. ახლა ეს ნაკლი აღკვეთილია. თვითეულ მომვლელს 10-14 ფური ჰყავს მიჩენილი, შესწავლილია თვითეული მათგანის ინდივიდუალური თვისებები. კვების დროს ითვალისწინებენ იმას, რომ რაციონში შედიოდეს ისეთი საკვები, რომელსაც ცხოველი უფრო ხალისიანად შეჭამს.

კოლმეურნეები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ წველადობის გასაადიდებლად უმჯობესია ფური ვკვებოთ მრავალფეროვანი, ყუათიანი, ამასთან უპირატესად წვნიანი საკვებით, მისი ინდივიდუალური თავისებურების — მერძეულობის, ცოცხალი წონის და სხვ. გათვალისწინებით. დიდი ყურადღება ექცევა საკვების წინასწარ შემზადებას, რისთვისაც მოწყობილია სპეციალური სამზარეულო.

მწვანე კონვეიერის რაციონალური გამოყენების მიზნით კოლმეურნეობა ბაგურ კვებასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს საიალაღო შენახვასაც. მაისიდან 15 ოქტომბრამდე მეწველი პირუტყვი საზაფხულო იალაღებზეა, სადაც მოწყობილია მოძრავი საკვებურები. იქვე პირუტყვისა და მომსახურე პერსონალისათვის ცალცალკეა გამართული მსუბუქი ტიპის ფარდულები. ძოვების პარალელურად მეწველ ფურებს უხვად ეძლევათ ვიტამინებით მდიდარი ახალგათიბული ბალახი და ძირხვენები. საბანაკო შენახვის პირობებშიც ფურებს ძოვების შემდეგ შუადღისას ბაგაზე აბამენ და წველიან, შემდეგ კი საძოვარზე უშვებენ. შემოღებულია პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითი და სადღეღამისო ძოვება, რაც კარგ შედეგს იძლევა.

ცხოველის ჯიშთა გაუმჯობესებაში ჯაფარიძელებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ მოპოვებული, მაგრამ ახალ ხუთწლედში ამ მხრივ კიდევ ბევრის გაკეთებაა გათვალისწინებული. უკვე ახლა მეღორეობის ფერმა საჯიშედ არის გადაქცეული. ღორები მთლიანად მსხვილი თეთრი ჯიშით არიან გაუმჯობესებული. აქ მიღებულ ნამატს მხოლოდ სანაშენოდ იყენებენ.

მეძროხეობის ფერმაში შვიცის მეტისები მთელი სულადობის 50 პროცენტია. ქათმები და სხვა ფრინველიც მხოლოდ ჯიშიანია. მეცხვარეობაში სულადობის დიდი ნაწილი ახალი ქართული ნახევრადნაზმატყლიანია.

დიდი ყურადღება ექცევა ჯიშთა გაუმჯობესებას ფერმებში საკუთარი ნამატის გაზრდით. აღსანიშნავია, რომ მეღორეობის ფერმაში გამოვლინებულია ისეთი ღორი, რომელიც ერთ მოგებაზე 16-18 გოჭს იძლევა. ასევე გამოვლინებულია მაღალპროდუქტიული ძროხები. ყველა მათი ნამატი გამოყენებულია სანაშენოდ.

კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ საქმე, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის ფერმებში აღარ ჰყავდეთ უჯიშო და დაბალპროდუქტიული პირუტყვი.

კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმა ისეა გაანგარიშებული, რომ სავსებით უზრუნველყოფს ფერმებში სულადობის ზრდის ტემპს მხოლოდ საკუთარი ნამატის გაზრდით. ამის საწინდარია ნამატის მიღება-შენარჩუნების აქ შეძენილი მდიდარი გამოცდილება. როგორც წესი, ხბოებისა და ზაქების გაზრდა ხელზე კვების წარმოებს. ამის საფუძველზე მიღწეულია ნამატის ცოცხალი წონის სადღეღამისო მატების დიდი ზრდა და მათი უდანაკარგოდ შენარჩუნება. 20 დღის ასაკიდან ხბოებს აჩვევენ რძეში შერეული ქერის ფაფის, აგრეთვე თივისა და მწვანე ბალახის ჭამას. ხბოებს და სხვა მოზარდსაც გარდა ამისა ეძლევათ სუფრის მარილი, ძვლის ფქვილი და ხის ნახშირი შესაფერისი რაოდენობით.

ფერმაში ლიკვიდირებულია ბერწიანობა და შემცირებულია პირუტყვის დახოცვა. როგორ აღწევენ კოლმეურნეები ბერწიანობის აღკვეთას? — დაგრილების დაწყების წინ და მიმდინარეობის პერიოდშიც დედაპირუტყვი და მწარმოებლებიც გაძლიერებულ კვებაზე გადაჰყავთ. ყურადღება ექცევა მწარმოებლების შერჩევას და სწორად გამოყენებას. დაგრილების შემდეგ პერიოდულად მოწმდება მაკეობა. ფერმებში სისტემატურად ეწყობა პირუტყვის ვეტერინარული შემოწმება, დაავადებულების დროული მკურნალობა, ხნიერი პირუტყვის დასაკლავად გამოყოფა. დაგრილების შემდეგ მაკე პირუტყვის კვებას და მოვლას მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ.

როგორც ყველა დარგში, ისე მეცხოველეობაშიც საქმის წარმატებას კადრები წყვეტენ. კოლმეურნეობა მდიდარია საერთო საქმისათვის თავდადებული, გამოცდილი და მცოდნე კადრებით. ფერმებში მომუშავენი სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს, ცდილობენ სიახლე და გაუმჯობესება შეიტანონ თავიანთ მუშაობაში. მეცხოველეობას 3 უმაღლესი განათლებისა და 5 საშუალო განათლების სპეციალისტი ხელმძღვანელობს, ამასთან თვითეულ ფერმაში თითო ვეტერინარული სანიტარი მუშაობს. ფერმების გამგეებად გამოცდილი და მცოდნე კოლმეურნეები არიან.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. გ. ნატროშვილი) სისტემატურად განიხილავს მეცხოველეობის აქტუალურ საკითხებს, უნარიანად სარგებლობს გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებით, ავლენს ნაკლოვანებებს, სახავს და ახორციელებს ღონისძიებებს მათი გამოსწორებისათვის.

ფერმების თითქმის ყველა ბინა ტიპიურია და აკმაყოფილებს ზოოვეტერინარულ მოთხოვნილებას. მეცხოველეობის შემდგომ სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით უახლოეს 2-3 წელიწადში დამატებით აშენდება ორი საძროხე, აგრეთვე საფრინველეები, ფურკამეჩისა და ცხვრის ბინები.

მეხუთე სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებული აქვთ ფერმების ყველა ბინაში გაიყვანონ ელექტრობა, მოაწყონ ავტომატური სარწყულები და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, სახელდობრ: მარცვლის დაღერღვა და დაფქვა, ძირხვენების გარეცხვა და დაჭრა, ცხვრის მექანიკური პარსვა, რაც ახლა ნაწილობრივ ხორციელდება, ძროხის ელექტრომექანიკური წველა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომ მნიშვნელოვან ზრდას. საკოლმეურნეო სოფელი უფრო კულტურული, კეთილმოწყობილი გახდება. საზოგადოებრივი დოვლათის გადიდებაში ჯაფარიძელებს დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის შემდგომი განვითარება. უკვე ახლაც კოლმეურნეობის შემოსავალში მეცხოველეობას დიდი ხვედრითი წონა უკავია, მაგრამ მეხუთე ხუთწლედის ბოლოს იგი ერთისამად გაიზრდება.

ახალი ხუთწლედის მანძილზე განსაკუთრებით დიდ აღმავლობას მიაღწევენ ისეთი დარგები, როგორიც არის მეძროხეობა, მეკამეჩეობა, მეღორეობა და მეფრინველეობა. ერთიორად და მეტად გაიზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, მათ შორის ძროხებისა და ფურკამეჩებისა, ხოლო წველადობა თვითეულ ფურზე 750 კილოგრამიდან აყვანილ იქნება 1.200 კილოგრამამდე. ამავე პერიოდში კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებს 1.500-მდე მოზარდი შეემატება.

გასულ წელს აქ 400-მდე ღორი ჰყავდათ, ხუთწლედის ბოლოსათვის კი მისი რიცხვი 800-ს გადააჭარბებს; აქედან მეოთხედი რაოდენობა დედაღორი იქნება. კარგი მოვლა-შენახვით თვითეულ დედაღორზე წელიწადში 15 გოჭის ნაცვლად 18 გოჭს გაზრდიან, სულ კი 1955 წლისათვის 3.000-მდე სულს, აქედან მნიშვნელოვან ნაწილს საჯიშედ. ცხვრის საერთო სულადობა 42 პროცენტით გაიზრდება, ხოლო მატყლის პროდუქტიულობა — ერთიორად.

ჯაფარიძელებმა შესანიშნავი გამოცდილება შეიძინეს ფრინვლის მომრავლების, კერძოდ კი ინდაურის მოშენების საქმეში. გაადვილებულია ფრინველის შენახვა და თვალსაჩინოდ გადიდებულია მისი პროდუქტიულობა. ხუთწლედის მანძილზე ფრინველის რაოდენობა ერთისამად გადიდდება, ხოლო კვერცხმდებლობა — ექვსჯერ. კოლმეურნეობას ხუთწლედის ბოლოს 9.000 ფრთა ფრინველი ეყოლება.

კოლმეურნეები კარგად ითვალისწინებენ, რომ მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვები ბაზის შექმნას. აქ ნაწვერალზე დიდი რაოდენობით მოიყვანენ და დაამზადებენ როგორც ბუნებრივი, ისე ერთწლიანი ნათესი ბალახების თივას. ბუნებრივი საძოვრიდან დიდი ნაწილი გამოყოფილ იქნება სათივედ. ფერმისპირა ნაკვეთებზე მოეწყობა მწვანე კონვეიერი — დამატებით დაითესება იონჯა, ესპარცეტი, კოინდარი, სათითუტრა, მიწავაშლა, საკვები საზამთრო, ჭარხალი, გოგრა და სხვ. საძოვრების გაუმჯობესების მიზნით 300 ჰექტარზე ჩატარდება მიწის ზედაპირული გაფხვიერება. მიწაში წინასწარ შეიტანენ მინერალურ სასუქს. ჯაგნარისაგან გაიწმინდება 100 ჰექტარი. რაციონალურად გამოყენების მიზნით ყველა საძოვარი დაიყოფა ნაკვეთებად. საძოვრების ერთ ნაწილზე მოეწყობა რწყვა.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა იბრძვის მის წინაშე დასახული ყველა დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პ. ხუხუნაიშვილი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს მეცხოველეობის ჯგუფის ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ტ. თოდრაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

ვენა, 16 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის საღამოს სხდომაზე, რომელიც კორეის დელეგატის **ხან სერ იას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, სიტყვები წარმოთქვეს: იაპონიის დელეგატმა **კენტარო კანეკომ,** გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა, პარლამენტის დეპუტატმა **როზა ჰილებრანდმა,** საბჭოთა მწერალმა **ა. ე. კორნეიჩუკმა,** ბელგიის დელეგატმა **ემილ კავენელმა,** ნორვეგიელმა პასტორმა **ფორბეკმა,** ირანის დელეგაციის მეთაურმა **აბმედ შარიათ-ზადემ,** ისრაელის დელეგატმა **ბენტოვმა** და ეკვადორის დელეგატმა **ენრიკე ადოუმმა.**

კონგრესზე წაკითხულ იქნა მისასალმებელი წერილები ინგლისის თემთა პალატის წევრის **ს. ო. დევისისა** და ირანის ცნობილი რელიგიური მოღვაწის **აიათულა ქაშანისაგან.**

17 დეკემბრის დიღის სხდომა

ვენა, 17 დეკემბერი. (საკდესი). ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, წარმოებული ომების შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემებისა, რომლებიც ყველა ხალხს აღელვებს.

თავმჯდომარე, შვეიცის დელეგატი **არტურ ლუნდკვისტი** სიტყვას აძლევს პარტია „ალეირის მანიფესტის დემოკრატიული კავშირის“ პოლიტიკური ბიუროს წევრს **ჰაჯი ალი აჰმედს.**

ალეირში, თქვა მან, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ უზრუნველყონ კოლონიზატორული უმცირესობის კეთილდღეობა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ხარჯზე. კოლონიურმა რეჟიმმა გადაულახველი კედლით გათიშა ერთმანეთისაგან კოლონიზატორები, რომელთა ხელშია ალეირის მთელი სიმდიდრე, და მოსახლეობა, რომელიც იძულებულია კოლონიზატორების ნებას ემორჩილებოდეს.

ალი აჰმედმა განაცხადა, რომ ამჟამად მილიონნახევარ ალეირელ ბავშვს შესაძლებლობა არა აქვს სკოლაში იაროს. უმაღლეს სასწავლებლებში 9 მილიონი ადგილობრივი მოსახლეობიდან სწავლის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ 300 კაცს. ავადმყოფობა და სიღატაკე ალეირელი ხალხის მუდმივი თანამგზავრია. ალეირში სდევნიან არაბულ ენას, რომელიც მოსახლეობის 9/10-ის მშობლიური ენაა, სდევნიან მუსლიმანურ სარწმუნოებას. ასობით პატრიოტი გამომწყვდეულია საპყრობილეებში, რადგან კოლონიზატორთა თვალსაზრისით მათ დანაშაული ჩაიდინეს თავისუფლებისადმი მისწრაფების გამოთქმით.

ჰაჯი ალი აჰმედმა მიმართა ფრანგი ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც კონგრესს ესწრებიან, და თქვა: ძვირფასო მეგობრებო, ალეირელი ხალხი ერთმანეთში არ ურევს ფრანგ ხალხსა და თავის დამმონებლებს. მაგრამ ჩვენ მოთმინებით ველოდებით თქვენგან, რომ არა მარტო თქვენი გრძნობებით, არამედ საქმითაც დაამტკიცოთ, რომ ემხრობით ჩაგრული ხალხების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

დღევანდელ დილის სხდომაზე მთელმა რიგმა ორატორებმა, უმთავრესად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა, თავიანთი სიტყვები მიუძღვნეს საკითხს ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები კორეასა და ჩინეთში ეწევიან.

ამ საკითხზე პირველი გამოვიდა კორეელი ექიმი **ნო დინ ხვანი.**

კორეაში ბაქტერიოლოგიურ იარაღს რომ იყენებენ, განაცხადა მან, ამერიკელებმა, როგორც ჩანს, ორი მიზანი დაისახეს: ჯერ-ერთი, გადამდები ავადმყოფობანი გაავრცელონ ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე, გამოიწვიონ კორეელი მოსახლეობის მასობრივი დაღუპვა, ძირი გამოუთხარონ ამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და გამარჯვება მოიპოვონ ბაქტერიოლოგიური იარაღის საშუალებით. მეორე მიზანი, ცხადია, ის არის, რომ დიდი მასშტაბით გამოსცადონ ბაქტერიოლოგიური იარაღის ეფექტიანობა, გამოავლინონ მომავალში ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების ყველაზე ეფექტიანი საშუალებანი და ხერხები. ამერიკელები რომ დაინტერესებული არიან ბაქტერიოლოგიური იარაღის ეფექტიანობით და ძალით, — თქვა ნო დინ ხვანმა, — ვიცით ჩრდილოეთ კორეაში ამერიკის დაზვერვის მიერ შემოგზავნილი და იქ შეპყრობილი აგენტების ჩვენებიდან.

— ჩვენთვის გასაგებია, — განაგრძო ნო დინ ხვანმა, — თუ რატომ გადაარჩინეს ამერიკელებმა იაპონელი დამნაშავე ისაი სირო. ისაი სირო ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სამსახურშია და თავის შავბნელ საქმეს აკეთებს. შემთხვევითი როდია, რომ ეს დამნაშავე 1952 წლის მარტში სეულში ჩავიდა. ცხადია, რომ მისი მგზავრობა დაკავშირებული იყო ამერიკელების მიერ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებასთან.

ნო დინ ხვანმა დამაჯერებელი ფაქტებით ცხადყო, რომ ამერიკის სამხედრო ხროვა კორეაში ბაქტერიოლოგიური ომის დაწყებამდე ჯერ კიდევ ადრე ხნით ადრე ემზადებოდა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისათვის. მან კონგრესს მოაგონა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამერიკელთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შესახებ პირველი განცხადება გააკეთა 1951 წლის 8 მაისს, ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარების უკანდახევის დროს სამოქალაქო მოსახლეობაში ყვავილის ხელოვნურ გავრცელებასთან დაკავშირებით. მეორე განცხადება გაკეთებულ იქნა 1952 წლის 22 თებერვალს, მას შემდეგ, რაც ამერიკის თვითმფრინავებიდან ჩამოყარეს ბევრი დასენიანებული მწერი.

ნო დინ ხვანმა ილაპარაკა იმ პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, რომლებსაც წარმატებით ახორციელებენ კორეის ხელისუფალნი ამერიკელთა მიერ ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ. მან მოიყვანა მთელი რიგი ტყვე ამერიკელი მფრინავების ჩვენება, რაც სავსებით აადასტურებს კორეელი მშვიდობისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ შეერთებული შტატების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ფაქტს.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხმა, განაცხადა დასასრულ ნო დინ ხვანმა, ამერიკელ აგრესორებს უნდა მოსთხოვოს შეწყვიტონ კორეელი ხალხის წინააღმდეგ წარმოებული ბაქტერიოლოგიური ომი. მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მოძრაობა არ დაუშვებს, რომ თანამედროვე კაცობრიობამ განიცადოს ბაქტერიოლოგიური იარაღით ხალხთა მოსპობის ავაზაკური გეგმის მთელი საშინელება და სირცხვილი. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს კონგრესი შეასრულებს თავის ისტორიულ როლს ამ მხრივ.

სან-პაულოს (ბრაზილია) უნივერსიტეტის პროფესორმა **პესოამ,** რომელიც ჩინთსა და კორეაში ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტების გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის შემადგენლობაში შედიოდა, ილაპარაკა ამ კომისიის ორი თვის მუშაობის შედეგებზე. მე, განაცხადა მან, დავრწმუნდი, რომ კორეელი და ჩინელი ხალხები მართლა გახდნენ ამერიკის ჯარების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების მსხვერპლი.

პესოამ დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ავრცელებდნენ ფილტვის ციმბირის წყლულის ეპიდემიას— იმ ავადმყოფობას, რომლითაც ჩვეულებრივად ავადდებიან ცხოველები და არა ადამიანები. ადამიანებს ეს ავადმყოფობა შეიძლება გადაედოთ ცხოველთა ლეშისაგან, და ავადმყოფობა იწყება ანის დაზიანებით. მაგრამ კორეასა და ჩინეთში ადამიანები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ ცხოველებთან, ციმბირის წყლულით ავად ხდებოდნენ ამ ავადმყოფობისათვის უჩვეულო დროს, და ავადმყოფობა იწყებოდა სასუნთქი ორგანოების დაზიანებით და იწვევდა მენინგიტს, რომელიც გარდუვალი სიკვდილით თავდებოდა. აღმოჩნდა, რომ ამ ავადმყოფობით დაავადებული კორეელები და ჩინელები შედიოდნენ იმ ბრიგადების შემადგენლობაში, რომლებიც მინდვრად აგროვებდნენ ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილ დასენიანებულ ბუმბულსა და მწერებს. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ეს საგნები და მწერები ციმბირის წყლულის ვირუსის მატარებელნი იყვნენ.

პესოამ აგრეთვე ილაპარაკა სასმელი წყალის მოწამვლის ფაქტებზე, როცა დაიდონგის რაიონში ამერიკის თვითმფრინავმა წყალსაცავში ჩამოყარა დასენიანებული მოლუსკები.

ბრაზილიელმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი აღფოთება იმ ფაქტის გამო, რომ ამერიკელი იმპერიალისტები მეცნიერების მიღწევებს იყენებენ არა ადამიანთა საკეთილდღეოდ, არამედ მათი მასობრივი მოსპობისათვის. მთელი კაცობრიობის არსებობას, თქვა მან, საფრთხე მოელის ამერიკის ჯარების მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების შედეგად.

ჩინელმა პროფესორმა—ბაქტერიოლოგმა, კორეაში ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმების სამედიცინო სამსახურის უფროსმა **ჩენ ვენ-გუიმ** განაცხადა, რომ ჩინეთის დელეგაციამ თან მოიტანა კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის დოკუმენტები და დოკუმენტალური ფილმი, აგრეთვე კონგრესს წარუდგინა კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის გამომკვლევი საერთაშორისო სამეცნიერო კომისიის მოხსენება.

ჩენ ვენ-გუიმ ილაპარაკა საერთაშორისო წითელი ჯვრის ტორონტოს კონფერენციის მუშაობაზე. ეს კონფერენცია დაახლოებით 4 თვის წინათ გაიმართა. ჩინეთის დელეგაციამ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ბრალად დასდო ბაქტერიოლოგიური ომის წარმოება კორეასა და ჩინეთში და განაცხადა, რომ თან მიიტანა ამ ბრალდების დოკუმენტალური დამამტკიცებელი საბუთები. მაგრამ კონფერენციის ინიციატორებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ზეგავლენით არც კი დახედეს ამ დოკუმენტებს. მათ ჩინეთის დელეგაციას აუკრძალეს ლაპარაკი ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტებზე და განაცხადეს, ეს „პოლიტიკური პროპაგანდაა“.

ბაქტერიოლოგიური ომი, განაცხადა ჩენ ვენ-გუიმ, სასტიკად აკრძალულია საერთაშორისო სამართლით და საერთაშორისო შეთანხმებებით, განსაკუთრებით ჟენევის 1925 წლის 17 ივნისის ოქმით. ამიტომ ამერიკის მთავრობა და მისი გენერლები ცდილობენ თავიდან აიცილონ დაგმობა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მხრივ და ბაქტერიოლოგიურ ომს ეწევიან როგორც „გამოურიცხავი ომს“.

ჩენ ვენ-გუიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეს ცდა წარმატებით არ დაგვირგვინდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩინელ ხალხს უკვე ჰქონდა ბაქტერიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, ბაქტერიოლოგიური იარაღისა, რომელსაც იაპონელი მილიტარისტები მის წინაღმდეგ იყენებდნენ 1940-1941 წლებში.

ჩენ ვენ-გუიმ ჩინელი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს, რომლებმაც გამოიკვლიეს ბაქტერიოლოგიური ომის ფაქტები და მონაწილეობა მიიღეს კომისიის მოხსენების შედგენაში.

კონგრესს უნდა ვაცნობოთ, თქვა ჩენ ვენ-გუიმ, რომ ბაქტერიოლოგიური ომი კვლავ გრძელდება. პეკინიდან გამომგზავრების წინ ჩინეთის რაზმისაგან, რომელიც კორეაში ეპიდემიების თავიდან აცილებისათვის მუშაობს, მივიღეთ ცნობა, რომ ამერიკის ავიაცია კვლავ ეწევა ბაქტერიოლოგიურ ომს. ოქტომბერში კვლავ ჩამოყარეს მწერები და ფოთლები და აღმოჩენილ იქნა ბაქტერიოლოგიური ბომბები.

ჩინეთის დელეგატმა მოუწოდა კონგრესს მიაღწიოს ბაქტერიოლოგიური ომის—ამერიკელ ინტერვენტთა ამ ბარბაროსული იარაღის ხმარების დაუყოვნებლივ აკრძალვას.

კონგრესის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მეცნიერის პროფესორ **ჟუკოვ-ვერეჟნიკოვის** გამოსვლას. ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით, განაცხადა მან, ამერიკის სამხედრო ხროვამ გამომაქღანა დანაშაულებრივი განზრახვა მთელი იმ კონტინენტის ბედისადმი, სადაც აზიისა და ევროპის ქვეყნებია, სადაც ცხოვრობენ ხალხები, რომლებმაც შექმნეს კულტურის უკვდავი ფასეულობანი.

ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა დაწვრილებით ილაპარაკა კორეელი და ჩინელი ხალხების გმირულ ბრძოლაზე ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც ამერიკელები ხელოვნურად ავრცელებენ. ჩინელმა და კორეელმა ხალხებმა, თქვა მან, ამ ბრძოლაზე დახარჯეს ისეთი შრომა, რომელიც თავისი მოცულობით უდრის შრომას, რაც დაიხარჯა ეგიპტის პირამიდების მშენებლობაზე, შრომას, რომელსაც კაცობრიობა ხარჯავს მაშინ, როცა საჭიროა საგანგებო ღონისძიებანი, მაგალითად, არხების გათხრისას, რომლებიც ამოკლებენ გზას ორ ოკეანეს შორის, ანდა მთელი ქალაქების აშენების დროს.

ამერიკის სამხედრო ხროვამ განაგრძო ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა, ვერ მოახერხა უკან დაიწია კაცობრიობა, აი ამიტომ ჩვენ მადლობა უნდა ვუთხრათ ჩინეთისა და კორეის მილიონობით უბრალო ადამიანს, — ისინი არაფრად აგდებდნენ საფრთხეს და თავიდან აგვაშორეს ერთ-ერთი უდიდესი უბედურება, რომელიც ამერიკის სამხედრო ხროვამ სცადა თავს დაეტეხა კაცობრიობისათვის.

შეერთებულ შტატებში, აღნიშნავს პროფესორი ჟუკოვ-ვერეჟნიკოვი, რადიო და პრესა გულმოდგინედ ფარავენ, რომ ამერიკელთა შეიარაღებული ძალები კორეასა და ჩინეთში იყენებენ მასობრივი მოსპობის საშუალებებს, და პირველ რიგში ბაქტერიოლოგიურ იარაღსა და ნაპალმს. მაგრამ შეერთებული შტატების ხალხმა სამართლე უნდა იცოდეს. კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტის საშინელ სისტემაში, აღნიშნა შემდეგ საბჭოთა მეცნიერმა, ამერიკელი ინტერვენტები იყენებენ არა მარტო ბაქტერიებს, არამედ დიდ მსხვრევად და ფუგასურ ბომბებს, ნაპალმს და ომის წარმოების სხვა საშინელ საშუალებებს. ამ ფაქტების წინააღმდეგ ყველა ქვეყნის ყველა პატიოსანმა ადამიანმა უნდა აიმაღლოს ხმა და მოითხოვოს ამ დანაშაულობათა შეწყვეტა.

ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სრულიად ფორმალური საბაბით არ მოისურვა მიეღო საბჭოთა დელეგაციის წინადადება, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება კორეაში, ხოლო შემდეგ დაიწყოს მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს საომარი ტყვეთა რეპატრიაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკის წარმმართველი ადამიანები ისახავენ სავსებით გარკვეულ მიზანს—გააჭიანურონ და გააფართოონ ომი კორეაში. ყველა ქვეყნის პატიოსანმა ადამიანებმა უნდა მოსთხოვონ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს კორეაში ომის შეწყვეტა. ამჟამად წარმოებული ომები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, მასობრივი მოსპობის იარაღი, მათ შორის ბაქტერიოლოგიური იარაღი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს.

სიტყვა ეძლევა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარეს **ეჟენი კოტონს,** რომელიც კონგრესის მონაწილეთ მიესალმა მთელი მსოფლიოს მილიონობით ქალის სახელით.

მთელი მსოფლიოს ქალები განიცდიან იმ შედეგებს, რასაც იწვევს გამალებული შეიარაღება, რომელიც აუარესებს ხალხის მატერიალურ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ნავთის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირზე

ამას წინათ მოსკოვში შედგა ნავთობის ჭაბურღილების მბურღავთა და მანქანათმშენებელთა გაერთიანებული საკავშირო თათბირი, რომელმაც მოისმინა მოხსენებები ბურღვის 1952 წლის გეგმის შესრულებისა და მეხუთე სტალინურ ხუთწლედში ბურღვის ტემპის გადიდების შესახებ.

თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საბურღავ სამუშაოთა გადიდების დარგში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. 1951 წელს 1945 წელთან შედარებით საბურღავი სამუშაოების მოცულობა გაიზარდა 5-ჯერ. საექსპლოატაციო ბურღვის სისწრაფე გადიდდა 58 პროცენტით, საძიებო ბურღვისა — 11 პროცენტით. ომამდელთან შედარებით საძიებო ბურღვის მოცულობა ოცდაექვსიდან 50 პროცენტამდე გაიზარდა. დიდი შედეგებია მიღწეული ტურბინებით ბურღვის საბჭოთა მოწინავე მეთოდის ფართოდ დანერგვის საქმეში. საბურღავ სამუშაოთა საერთო მოცულობიდან 50 პროცენტი ამჟამად ტურბინებით იბურღება.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ზღვისქვეშა საბადოებიდან ნავთობის ამოღება გადიდდა 2,4-ჯერ, საბურღავი სამუშაოები კი —2,5-ჯერ. ზღვაზე შეიქმნა სარეწაოები, რომლებიც მოქმედებენ ნაპირიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ათვისებულია ზღვაზე ჭაბურღილების ბურღვა, როცა, ზღვაში წყალის სიღრმე 20 მეტრს არ აღემატება.

ამ მიღწევებთან ერთად თათბირზე აღინიშნა ნაკლიც. კერძოდ ითქვა, რომ საძიებო ბურღვაში არ სრულდება ჭაბურღილების ბურღვის მეტრაჟის და სის

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე

(დასასრული)

მდგომარეობას. ოჯახის დედას, რომელიც თვითონ ყველაფერს იკლებს, მაინც არ შეუძლია უზრუნველყოს საჭირო კვებით თავისი შვილები. მარტო ინდოჩინეთის ომი დაუჯდა საფრანგეთს 2.000 მილიარდი ფრანკი. ფრანგი ქალები ფიქრობენ, თუ რამდენი ბინის აშენება, რამდენი ფართო მოხმარების საქონლის დამზადება შეიძლებოდა ამ ფულით, უმუშევრობა იზრდება უწინარეს ყოვლისა მშვიდობიანი წარმოების დარგებში, როგორც, მაგალითად, საფეიქრო მრეწველობაში. მუშა ქალები ახლა ნორმალური ხელფასის ნახევარს ან მესამედს იღებენ, რადგან კვირაში რამდენიმე საათს მუშაობენ.

ამიტომ, განაგრძო კოტონმა, ქალები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობის დაცვის მოძრაობაში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრაში, მშვიდობის მომხრეთა კონგრესებში. კოტონმა ილაპარაკა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის დელეგაციის წევრების მოღვაწეობაზე, დელეგაციისა, რომელიც კორეას ეწვია და რომლის წევრებიც ხალხებს სიმართლეს უამბობენ კორეის ომის შესახებ. კორეასა და ჩინეთში ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების გამომკვლევი მეცნიერთა საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში იყო სტოკჰოლმელი ექიმი ქ-ნი ანდრეა ანდრეენი.

დასასრულ კოტონმა განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს ქალები, განაგრძობენ რა ბრძოლას მშვიდობისათვის, ვალდებულებას კისრულობენ თავიანთ ქვეყნებში უზრუნველყონ, რომ კონგრესის გადაწყვეტილებებს მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

მშვიდობის დაცვის კანადის კონგრესის თავმჯდომარემ **ჯეიმს ენდიკოტმა** ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ეს პრინციპი, თქვა მან, მშვიდობის დაცვის კანადის მოძრაობის საფუძველია.

შეეხო რა საკითხს ბაქტერიოლოგიური ომის შესახებ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ჩინელი და კორეელი ხალხების წინააღმდეგ, ენდიკოტმა თქვა:

ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ ყველა მთავრობამ მოაწეროს ხელი ჟენევის ოქმს და ვალდებულება იკისროს არასოდეს არ აწარმოოს ბაქტერიოლოგიური ომი. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში. კანადის დელეგაციის წევრთა უმეტესობა მხარს უჭერს გო მო-ჟოს წინადადებას ამ ომის შეწყვეტის საშუალების შესახებ. ჩვენ მხარს ვუჭერთ გერმანელი ხალხის მისწრაფებას ერთიანობისადმი, მხარს ვუჭერთ გერმანიის დემილიტარიზაციის მოთხოვნას და იმის მოთხოვნას, რომ საზაჯო ხელშეკრულებამ აღმოფხვრას ყოველგვარი შესაძლებლობა გერმანიის შეერთებისა რომელიმე სამხედრო კავშირთან. წინადადება შემოგვაქვს მოვითხოვოთ, რომ იაპონიასთან დაიდოს ყოველმხრივი საზაჯო ხელშეკრულება, რომელიც აღმოფხვრის იაპონიაში მილიტარისტული რეჟიმის დამყარების შესაძლებლობას.

ენდიკოტმა მხარი დაუჭირა საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლებას, გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა დაწესეს დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების ბლოკადა.

დასასრულ ენდიკოტმა განაცხადა: უწინარეს ყოვლისა უნდა მოვითხოვოთ, რომ ხუთი დიდი სახელმწიფო შეიკრიბოს და ვალდებულება იკისროს, რომ არც ერთი მათგანი პირველი არასოდეს არ დაიწყებს ომს.

უნგრელმა ჟურნალისტმა **ტიბორ მერაიმ,** რომელიც 1951 წლის აგვისტოდან 1952 წლის სექტემბრამდე კორეაში იყო, უამბო კონგრესის მონაწილეებს, თუ რა ბარბაროსულად ბომბავს ამერიკის ავიაცია კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს.

მერაიმ კონგრესის პრეზიდიუმს გადასცა ფოტოსურათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს დასახიჩრებული კორეელი ქალისა და ითხოვა გადაეცათ ეს სურათი ამერიკის დელეგაციისათვის, რათა ამერიკელი დედები და ცოლები მიხვდნენ, თუ რა საშინელ ბოროტმოქმედებას სჩადიან მათი სახელით კორეელი ქალების მიმართ.

უნგრეთის დელეგაციის სახელით მერაიმ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს საომარი მოქმედება კორეაში.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ფინეთის „აგრარული ახალგაზრდობის კავშირის“ ხელმძღვანელი ოლავი ლახტელა, პოლონეთის პროფკავშირული მოღვაწე ვიქტორ კლოსეკვიჩი და ინდოელი მწერალი ქალი მალატი ბედეკარი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მონაწილეთა შეხვედრა ვენის მცხოვრებლებთან

ვენა, 17 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ვენაში ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის დელეგატები ყოველდღე ხვდებიან ავსტრიის დედაქალაქის მოსახლეობას. მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა ავსტრიის კომიტეტმა მოაწყო ავსტრიელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების შეხვედრა კონგრესის დელეგატებთან—გიგანტური მოსიარულე ექსკავატორის უფროს უსკოვთან (საბჭოთა კავშირი), დასავლეთ გერმანიის ცნობილ სპორტსმენ პელცერთან, საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულ ზატოპეკთან (ჩეხოსლოვაკია), ცნობილ უნგრელ ფეხბურთელ პუშკაშთან და სხვ.

დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს უსკოვის ნაამბობი კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, დედამიწის მთელ ახალგაზრდობასთან ერთად საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლაზე მშვიდობისათვის. პუშკაშმა და ზატოპეკმა ილაპარაკეს უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სპორტის განვითარებაზე, ამ ქვეყნების ახალგაზრდობის მისწრაფებაზე მშვიდობისადმი.

კონცერტაუზში, სადაც კონგრესი მუშაობს, მოდის საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი დელეგაცია, რათა მიესალმონ ყველა ქვეყნის ხალხთა წარმოგზავნილთ, გადასცენ მათ საჩუქრები და უსურვონ სრული წარმატება კონგრესის მუშაობაში. „ავსტრიის დემოკრატ ქალთა კავშირის“ დელეგაცია შეხვდა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, კორეის, დასავლეთ გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთის, ურუგვაისა და სხვა ქვეყნების დელეგატებს. ვენის სკოლების მოსწავლეებმა ბევრი ქვეყნის დელეგატებს გადასცეს თვით მოსწავლეთა მიერ დამზადებული საჩუქრები.

ვენის სასახლე ჰოფბურგის პასაჟში გაიხსნა მშვიდობის მომხრეთა ავსტრიის საბჭოს მიერ კონგრესის აღსანიშნავად მოწყობილი გამოფენა. მრავალ ფოტოსურათზე, ფერად პანოებსა და სურათებზე აღბეჭდილია დედამიწის ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, ურთიერთგაგებისათვის, ამჟამად წარმოებული ომების შეწყვეტისათვის.

ვენის კონგრესის დელეგატებს უჩვენებენ დოკუმენტალურ ფილმებს ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის, კორეის ომისა და სხვ. შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებისათვის

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი. (საკდესი). 15 დეკემბერს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნები ამრჩევთა კრებები.

ამრჩევებმა 39 შტატში, სადაც ეიზენჰაუერმა ხმის უმრავლესობა მიიღო, თავისი საარჩევნო ბიულეტენები მისცეს ეიზენჰაუერს, ხოლო 9 შტატში, სადაც უმრავლესობა სტივენსონმა მიიღო, ამრჩევლებმა ხმა მისცეს სტივენსონს. ეიზენჰაუერმა მიიღო 442 ამრჩევის ხმა, ხოლო სტივენსონმა — 89 ხმა.

მაგრამ, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, „ახლაც კი შედეგები არაოფიციალურია. პრეზიდენტის არჩევნების არქაული პროცედურის შესაბამისად, რომელიც რესპუბლიკის პირველ დღეებში შეიქმნა, გენერალი ეიზენჰაუერი პრეზიდენტად ოფიციალურად იქნება არჩეული მხოლოდ 6 იანვარს, როცა კონგრესის ორივე პალატა გაერთიანებულ სხდომაზე შეიკრიბება, შეაჯამებს და დაამტკიცებს 48 შტატის ამრჩევთა კენჭისყრის შედეგებს“.

საბჭოთა მუსიკოსების დიდი წარმატება

მევიოლინეთა ვენიავსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის შედეგები

ვარშავა, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ პოზნანში ჯიელდოები გადასცეს მევიოლინეთა ვენიავსკის სახელობის მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატებს. პირველი პრემია მიეკუთვნა მევიოლინე ი. ოისტრახს (სსრ კავშირი), მეორე პრემიები — ი. სიტკოვეცკისა (სსრ კავშირი) და ვ. ვოლკომირსკაიას (პოლონეთი), მესამე პრემიები — მ. იაშვილს (სსრ კავშირი), ო. პარხომენკოს (სსრ კავშირი) და ბ. ტარტიუსს (საფრანგეთი), მეოთხე პრემიები — ე. კამილაროვს (ბულგარეთი), ე. სუტკევიჩს (პოლონეთი), ი. ივანოვს (პოლონეთი) და გ. პალუელისს (პოლონეთი), მეხუთე — ჩ. ბოკაის (უნგრეთი).

ეიურიმ აგრეთვე აღნიშნა კონკურსის მონაწილეთა — მ. ხიტდის (უნგრეთი), ვ. იასეკის (ჩეხოსლოვაკია) და ბანიაჯის (უნგრეთი) მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა.

კონკურსის დამთავრების შემდეგ საბჭოთა დელეგაციის წევრები და კონკურსის სხვა ლაურეატები გამოვიდნენ პოზნანის უდიდესი ხაწარმოების მუშათა კლუბებში.

საღამოს კონკურსის მონაწილეთა პატივსაცემად რადა ნაროდოვაში გაიმართა დიდი დარბაზობა.

შვეიცარიის კომპარტიის მომავალი ყრილობისათვის

სტოკჰოლმი, 17 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ დაგი“ იუწყება, ამ დღეებში დამთავრებულმა შვეიცარიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება 1953 წლის 3-6 აპრილს პარტიის მორიგი, XVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

ყრილობაზე მიღებულ იქნება კომპარტიის ახალი პროგრამა „შვეიცარიის გზა სოციალიზმისაკენ“. პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, პარტიულ ორგანიზაციებსა და პრესაში გაჩაღდება ამ პროგრამის განხილვა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 17 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შეიარაღებანი წინანდელ ზღუდეებზე ეწეოდნენ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი, რომლებიც კვლავ გააფთრებით ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

მშრომელთა დეკუბჯეების სახალხო საბჭოების არჩევნების შედეგები ბულგარეთში

სოფია, 17 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარულ გაზეთებში გამოქვეყნდა სახალხო კრების პრეზიდიუმის ცნობა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკოლიო, საქალაქო, რაიონული და სასოფლო სახალხო საბჭოების 14 დეკემბერს მომხდარი არჩევნების შედეგების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ არჩეული არიან სოფიის საქალაქო სახალხო საბჭოს, 12 საოლქო სახალხო საბჭოს, 95 საოკოლიო, 139 საქალაქო, 7 რაიონული და 2.065 სასოფლო სახალხო საბჭოს დეპუტატები.

საოლქო სახალხო საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან — 4.877.658-დან მონაწილეობა მიიღო 4.820.704 ამომრჩეველმა, ანუ 98,83 პროცენტმა; საოკოლიო სახალხო საბჭოების არჩევნებში 4.454.899 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 4.396.382 ამომრჩეველმა, ანუ 98,69 პროცენტმა; საქალაქო სახალხო საბჭოების არჩევნებში 1.625.978 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 1.611.615 ამომრჩეველმა, ანუ 99,12 პროცენტმა; რაიონულ სახალხო საბჭოების არჩევნებში — 425.555 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 421.979 ამომრჩეველმა, ანუ 99,16 პროცენტმა და სასოფლო სახალხო საბჭოების არჩევნებში — 3.263.259 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 3.207.622 ამომრჩეველმა, ანუ 98,3 პროცენტმა.

საოლქო სახალხო საბჭოების არჩევნებში სამამულო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 4.757.604 კაცმა, ანუ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 98,69 პროცენტმა; საოკოლიო სახალხო საბჭოების არჩევნებში — 4.335.289 კაცმა, ანუ 98,61 პროცენტმა; საქალაქო სახალხო საბჭოების არჩევნებში — 1.599.685 კაცმა, ანუ 99,26 პროცენტმა; რაიონული სახალხო საბჭოების არჩევნებში — 420.408 კაცმა, ანუ 99,63 პროცენტმა; სასოფლო სახალხო საბჭოების არჩევნებში — 3.145.536 კაცმა, ანუ 98,06 პროცენტმა.

სულ არჩეულია 59.648 დეპუტატი. აქედან მამაკაცებია 81,05 პროცენტი, ქალები — 18,95 პროცენტი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის წევრები — 72,46 პროცენტი, უპარტიოები — 27,54 პროცენტი.

ცნობაში აღნიშნულია, რომ საოლქო სახალხო საბჭოების არჩევნები არ მომხდარა ორ საარჩევნო ოლქში, სამ საოკოლიო ოლქში, 4 საქალაქო და 32 სასოფლო საარჩევნო ოლქში.

27 საარჩევნო ოლქში (ერთ საოკოლიო და 26 სასოფლო ოლქში) რეგისტრაციაში გატარებულმა კანდიდატებმა ვერ მიიღეს ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და დეპუტატებად არჩეული არ არიან. ამ საარჩევნო ოლქებში მშრომელთა დეპუტატების სახალხო საბჭოების არჩევნების კანონის თანახმად მოხდება ახალი არჩევნები.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტის განცხადება

ბერლინი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტოს მიერ დიუსელდორფიდან გადმოცემული ცნობით, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დასავლეთ გერმანიის კომიტეტმა გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება ადენაუერის მაქინაციების წინააღმდეგ, რომელიც ყოველგვარი ძალადობით ცდილობს მიაღწიოს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ დამცველნი იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიც გამოიყენა პაპენმა 1932 წელს, „როცა მან სახელმწიფო სასამართლოს დახმარებით მოსპო ვაიმარის დემოკრატიული რეჟიმი“.

„ამჟამად, — ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, — საჭიროა, რომ მთელმა გერმანელმა ხალხმა მოითხოვოს ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც რეალურ გზას გაუხსნიდა გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. მხოლოდ ასე შეგვიძლია ეფექტიანად გავუწიოთ წინააღმდეგობა ომის საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებასთან. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გადაიდგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გამოიწვევენ ომოსავლეთელი და დასავლეთელი გერმანელების შეთანხმებას გაერთიანებული გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ. ამასთან პირველხარისხოვანი ამოცანაა დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ გერმანელი ხალხის ეროვნული მოთხოვნები ერთობლივად იქნას დაცული ოთხი სახელმწიფოს თანმხრივ გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადების საკითხის შესახებ.

ამ პირველი რეალური შესაძლებლობის განხორციელებისაკენ მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის წინადადება ბუნდესტაგისადმი, რომ ავტორიტეტიანი წარმომადგენლების მეშვეობით გამოთქვას სახალხო პალატის წინაშე თავისი თვალსაზრისი გერმანიის გაერთიანების შესახებ. ეს წინადადება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული, შემდგომი მოლაპარაკების საფუძველია. მოლაპარაკებამ უნდა გამოიწვიოს გერმანიის გაერთიანება და უზრუნველყოს ეროვნული უშიშროება“.

ხმელთაშუა ზღვის ინგლისის ფლოტის მთავარსარდალი რიჯუეის დაემორჩილება

ლონდონი, 17 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ კვლავ დაუთმო ამერიკელებს, ამჯერად ხმელთაშუა ზღვის რაიონში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის რწმუნებათა საკითხში. როგორც ცნობილია, თავდაპირველად ინგლისის მთავრობა ცდილობდა არა მარტო იმას, რომ ამ პოსტზე ინგლისელი დაენიშნათ, არამედ იმასაც, რომ მას ჰქონოდა ისეთივე რწმუნებანი, როგორც ამერიკელ ადმირალს, რომელიც ატლანტიკის რაიონში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. მაგრამ გუშინ პრემიერ-მინისტრმა თემთა პალატაში გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხმელთაშუა ზღვის რაიონში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის დანიშვნის თაობაზე შეთანხმების შესახებ, რასაც ერთ-ერთმა ლეიბორისტმა „სამარცხვინო“ უწოდა.

ამ შეთანხმების ძალით, ინგლისელი ადმირალი ლორდი მაუნტბეტენი ნომინალურად იღებს „ხმელთაშუა ზღვის რაიონში მთავარსარდლის“ წოდებას, მაგრამ ფაქტიურად მისი რწმუნებანი ძალიერ შეზღუდულია. მაუნტბეტენი პასუხისმგებელი იქნება ამერიკელი გენერლის რიჯუეის წინაშე, რომელიც ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ჯარების უმაღლესი მთავარსარდალია.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მაუნტბეტენი „უშუალოდ დაემორჩილება მოკავშირეთა უმაღლეს მთავარსარდალს და პასუხისმგებელი იქნება მის წინაშე“. მაუნტბეტენს არ დაემორჩილება ამერიკის მე-7 ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში, რომელსაც სარდლობს ამერიკელი ადმირალი კერნი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჩეჩკოვსკი

17 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის საპატიო ჩემპიონატის მეცამეტე ტური.

გროსმაისტერმა სმისლოვმა პარტიაში გროსმაისტერ ტაიმანოვის წინააღმდეგ ორიგინალურად გაითამაშა დებიუტი. მაგრამ ძლიერ ცაიტნოტში სმისლოვმა ვერ გამონახა უკეთესი გაგრძელება და ფიგურების გაცვლის შემდეგ 46-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. მრავალი დამსწრე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს დაძაბულ ბრძოლას, რომელიც გაჩაღდა ოდესელი გროსმაისტერის გელერისა და მოსკოველი ოსტატის მოისეევის პარტიაში. 42-ე სვლაზე გელერმა დამარცხება განიცადა. ბოტვინიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა კასპარიანის წინააღმდეგ, პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. მაგრამ კასპარიანი ენერგიულად იცავდა თავს. 37-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კორჩნოი — ტოლუშის, კერეს — სმიგინისა და ბრონშტეინ — კონსტანტინოპოლსკის პარტიები.

ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა ბოლესლავსკი — გოლდენოვის პარტია. კანმა შეცდომა დაუშვა პარტიაში სუეტინის წინააღმდეგ და ახლა გადადებულ პოზიციაში სუეტინი ინარჩუნებს მოგების შანსს, თუმცა თეორეტიკოსთა აზრით, ბალანსი ოდნავ ბოლესლავსკისკენ გადიხრება.

ბელი დარჩა ბოლესლავსკი — გოლდენოვის პარტია. კანმა შეცდომა დაუშვა პარტიაში სუეტინის წინააღმდეგ და ახლა გადადებულ პოზიციაში სუეტინი ინარჩუნებს მოგების შანსს, თუმცა თეორეტიკოსთა აზრით, ბალანსი ოდნავ ბოლესლავსკისკენ გადიხრება.

ბელი ბოლესლავსკი — ბივშევის პარტია გადადგა, ლიპნიცკი — არონინის პარტია არ გათამაშებულა. (საკდესი).

შეხვედრა რესპუბლიკის სახალხო არჯისჯ ი. სუხიშვილთან

გუშინ კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში შეიკრიბა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ი. სუხიშვილის შეხვედრა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბა „კომუნისტის“ კოლექტივთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს ხალხური ეკეკის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ხელმძღვანელობენ სტალინური პრემიის ლაურეატები რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. რამიშვილი, მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ერთთვიურში. ჩეხოსლოვაკიაში ანსამბლის ყოფნისა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ ილაპარაკა ი. სუხიშვილმა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

დასასრულ ნაჩვენები იქნა მოკლემეტრაჟიანი კინოფილმი-რეპორტაჟი ჩეხოსლოვაკიის მშრომელებთან ანსამბლის შემოქმედებითი შეხვედრების შესახებ.

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში

19 დეკემბერს საღამოს 8 საათზე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად დოცენტი ი. მრევლიშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“.

19 დეკემბერს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად დოცენტი გ. გვიშიანი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ი. ბ. სტალინის ნაშრომები: „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ და „ლენინიზმის საკითხებისათვის“.

ეკონომიკის ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 20 დეკემბერს დღის 12 საათზე (სხდომათა დარბაზი, ძერჟინსკის ქ. № 8) მოეწყობა ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების V ტომის საჯარო განხილვა.

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 30 დეკემბერს, დღის 1 საათზე ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ძერჟინსკის ქ. № 8) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის საცდელი სადგურის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **მიხეილ გიორგაძე-ძე გურგენიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „კაკლის ვეგეტაციურად გამრავლება“.

ოფიციალური ოპონენტები: ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლ. ი. ჯაფარიძე და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. ა. მაკარევსკაია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (კოჯრის გზატეხილი).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 30 დეკემბერს, დღის 3 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში (ქიმიის კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ნათელა სიმონის ასული ახსნიაშვილი დაიცავს დისერტაციას თემაზე: „დრეკადობის თეორიის ბრტყელი ამოცანების გამოკვლევა პოტენციალთა თეორიის მეთოდით და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ზოგიერთი საკითხი“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი დოქტორი ვ. ვეკუა, მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ლ. მაღნარაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო აუწყებს ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომ 1953 წლისათვის შტატებისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვების რეგისტრაცია უნდა მოეწყოს დიფერენცირებულ ვადებში, რაც დადგენილია ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ, ხოლო არაუგვიანეს 1953 წლის 1 აპრილისა.

საჭიროა ყველა დაწესებულებამ, საწარმომ და ორგანიზაციამ დროზე მიიღოს თავისი ზემდგომი ორგანიზაციიდან 1953 წლისათვის დამტკიცებული სამტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა და გაატაროს ის შესაბამისი ქალაქისა და რაიონის საფინანსო განყოფილებაში.

რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სახბანკის განყოფილებები ხელფასს გასცემენ მხოლოდ 1953 წლისათვის შტატების რეგისტრაციის ბარათის წარდგენისას.

საქართველოს რადიოგადაცემათა 21 დეკემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 10.30 — საუბარი: „საბჭოთა კავშირში რეალური ხელფასის ზრდის წყაროები“; 11.00 — „პიონერთა დაფინის“ საკვირაო გამოშვება; 11.30 — ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები და უვერტიურები; 12.15 — სულხან ცინცაძის პოემა სტალინზე; 12.45 — სიმღერები მშვიდობაზე; 16.00 — ალექსეი ტარდოვსკის პოემის „ვასილ ტიორკინის“ რადიოინსცენირება; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში“; 17.30 — გადაცემა ბავშვებისათვის — რადიოდადგმა „ომანის მტრედები“; 18.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა“; **რადიო სადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — ლექსები და სიმღერები ი. ბ. სტალინზე; 23.00 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით: 00.05 — ინსტრუმენტული მუსიკის კონცერტი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

19 დეკემბერს	შ. ჭონი — **ფაუსტი** და **ვალკიუარგის ღამე** (ს. სტარჩენკოს მონაწილეობით, უკანასკნელი გამოსვლა)
20 დეკემბერს	ჟ. ბიზე—**კარმენ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მეუღლე სანდრო, შვილები ნორა, ბიძინა, მარო, ელგუჯა, რძალი თალიკო, სიძე დ. ბოჭორიშვილი, დები გოგუცა, შურა, მული ბაბილინა ოჯახებით იუწყებიან **ლიდა მოსეს ასულ მასხარაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XII, 4 ს. ხალიფაურში (ქიათურის რაიონი).

ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტი აცხადებს **კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:**

ყურ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრაზე, კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი — 1, თერაპიის პირველ კათედრაზე ორდინატორი — 1, ტროპიკულ სნეულებათა კათედრაზე ორდინატორი — 1, ტუბერკულოზის კათედრაზე ორდინატორი — 1.

კლინიკურ ორდინატურაში მიიღებიან ექიმები 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ სულ მცირე 3 წლის საექიმო სტაჟი ან უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით აქვთ დამთავრებული.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები ორ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, დახასიათება და ცნობა სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, დაბადების ცნობა, სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების ცნობა; საფიცენტო თანამდებობაზე კი სამეცნიერო ხარისხის დიპლომი და სამეცნიერო შრომები.

საჭირო საბუთები განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექციაში — თბილისი, ლენინგრადის ქ. № 12.

კონკურსის ვადა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ჩაძირული ქვები; **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი; **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (აბონემენტი 41, 42); **სომხური დრამის** — ქორ-ოღლი; **მუსიკალური კომედიის** — საჩუქარი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 42, 4 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — გიმნაზიელები (3 ს.); **თოჯინების** — გაზაფხულის ყვავილი (11 ს.); **სანიტარული კულტურის** — კარგი ამხანაგი.

ალექსანდრა ჩარგეიშვილი, ნეკტარიოს, არჩილ, ელენე, გერვასი ჩარგეიშვილები ოჯახებით იუწყებიან სიძის და ბიძის **არისტარხ შარვანის-ძე ჭანტურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XII განკარში (აბაშის რაიონი).

მეუღლე თეო, შვილი ნანი,